ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანდრია ბენაშვილი

ხსოვნის საღამო

ქართული კარტოგრაფია და გეოდეზია დღეს

წინაპართა ნაკვალევზე

პროფესორი ***ანდრია ბენაშვილი*** გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა იმ კოჰორტას ეკუთვნის, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო მოღვაწეობის ისტორიაში. იგი ითვლება ქართული გეოდეზიური და ასტრონომიული სკოლის ფუძემდებლად. ანდრია ბენაშვილმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა თბილისის უნივერსიტეტში ასტრონომიის, კარტოგრაფიის და გეოდეზიის დამკვიდრებისა და განვითარების საშვილიშვილო საქმეში. ამ მიმართულებით მან აღზარდა მეცნიერ პედაგოგთა და პრაქტიკოსთა მრავალი თაობა, რომელიც წარმატებით მოღვაწეობს ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, განათლებისა და პრაქტიკის რიგ დარგებში.

ანდრია ბენაშვილი (1868–1941 წწ.)

ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი დაიბადა 1868 წლის 23 მარტს (4 აპრილს) ყვარელში. 1885 წელს კადეტთა კორპუსის დამთავრების შემ,დეგ ანდრია ბენაშვილი მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში შევიდა, რომელიც ორი წლის შემდეგ წარჩინებით დაამთავრა. 1896 წელს ა. ბენაშვილი ჩაირიცხა გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზიურ განყოფილებაზე. 1901 წელს იგი დაინიშნა ტრიანგულაციის დასავლეთის სასაზღვრო სივრცის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ., შემდგომ კი – სამმართველოს უფროსად. 1902 წელს ა. ბენაშვილი მიიწვიეს პეტერბურგის ტექნოლიგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ. !905–1916 წლებში იგი გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრის გამგეა სამხედრო–საინჟინრო აკადემიაში.

ა. ბენაშვილის საქართველოში ჩამოსვლა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დამამთავრებელ ეტაპს ემთხვევა. ივანე ჯავახიშვილი კარგად იცნობდა ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობას. ქართულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა ანდრია ბენაშვილის ჭაბუკობის ოცნების აღსრულება იყო.. ამიტომ იგი ღირსეულად ჩადგა ივანე ჯავახიშვილის თანამოსანგრეთა შორის და ***სავსებით დამსახურებულად ითვლება ქართული უნივერსიტეტის ერთ–ერთ დამაარსებლად.***

1918 წელს ა. ბენაშვილმა უნივერსიტეტში დაარსა ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრა, რომლის ბაზაზეც შემდგომ წარმოიშვნენ ასტრონომიისა და კარტოგრაფია–გეოდეზიის დამოუკიდებელი კათედრები.

ივანე ჯავახიშვილს და ანდრია ბენაშვილს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ. ერთ–ერთ წერილში ანდრია ბენაშვილი წერს ივანე ჯავახიშვილს: *“თქვენი ღვაწლის სამშობლოსა და უნივერსიტეტის წინაშე დაფასება ახლო მომავლის საქმეა, მაგრამ ეხლაც შეიძლება ითქვას, რომ თქვენი სახელი უნივერსიტეტის სახელთან განუყოფლად არის შეკავშირებული და სანამ არსებობს საქართველო და ქართველი ხალხი, იქნება ცოცხალი უნივერსიტეტი და მასთან ერთად თქვენი სახელიც”.*

ბენაშვილი ყველა იმ მოსამზადებელი სამუშაოების აქტიური მონაწილეა, რამაც შესაძლებელი გახადა 1922 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნა, რამაც შემდგომ ეტაპზე საფუძველი დაუდო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას. აქ მან აღზარდა საქვეყნოდ ცნობილ გეოდეზისტთა მთელი პლეადა, რომელთა შორისაც იყო მისი საყვარელი მოსწავლე, პროფესორი ნიკოლოზ თევზაძე. სწორედ მისი თაოსნობით იქნა გადმოსვენებული ანდრია ბენაშვილის ცხედარი ქ. სოხუმიდან (სადაც იგი ბოლო პერიოდში მოღვაწეობდა) თბილისში იმ ძნელბედობის ჟამს – 1941 წელს. ანდრია ბენაშვილი დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, საქართველოს გეოდეზიური საზოგადოება და საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაცია გიწვევთ გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის

პროფესორ

ანდრია ბენაშვილის

ხსოვნისადმი მიძღვნილ

ს ა ღ ა მ ო ზ ე

პ რ ო გ რ ა მ ა

12 ივნისი 2010 წელი

14.00 გ ა ხ ს ნ ა

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი

1. პროფ. გიორგი ხუბუა – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
2. პროფ. რამაზ ბოჭორიშვილი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
3. აკად. მარიკა ლორთქიფანიძე
4. საქ. მეცნ. აკადემიის წევრ კორესპონდენტი, პროფ. რევაზ გაჩეჩილაძე–საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი.
5. გეობრ. აკად. დოქტ. თენგიზ ცინცაძე – ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.
6. პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი.
7. გეობრ. აკად. დოქტ. ნანა ბოლაშვილი – ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.

8. ნოდარ ხორბალაძე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფიული ცენტრის უფროსი, მაიორი.
9. ირაკლი ლეჭავა – გარემოს დაცვის სამინისტროს, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის უფროსი.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი

14.50 პროფ. მერაბ თევზაძე – პროფესორ ანდრია ბენაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა.
15.20 პროფ. ჯანსუღ კეკელია – პროფესორ ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
15.35 ასოცირ. პროფ. თენგიზ გორდეზიანი – ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობა კარტოგრაფიაში.
15.50 ანდრია ბენაშვილის სახელობის სკოლის დირექტორი, აკადემიური დოქტორი ცაცა ბენაშვილი – პროფესორი ანდრია ბენაშვილი, როგორც პედაგოგი.
16.05 თსუ–ს სტუდენტები: პაატა დვალაძე, თინათინ ბირბიჩაძე – პროფესორი ანდრია ბენაშვილი – მეცნიერი და პედაგოგი – სტუდენტის გადასახედიდან.
16.20 ანდრია ბენაშვილის სახ. სკოლის მოსწავლეთა გამოსვლები – რა ვიცით ანდრია ბენაშვილის შესახებ.

16.35 მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

ღონისძიება ჩატარდება ***2010 წლის 12 ივნისს, 14.00 საათზე***. მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი, 3. თსუ–ს მეორე კორპუსი, მეორე სართული, ფიზიკის დიდი აუდიტორია.

საორგანიზაციო კომიტეტი: პროფ. მ. თევზაძე, ასოც. პროფ. თ. გორდეზიანი (თავმჯდომარე), თ. ჭელიძე, ა. ბენაშვილის სახელობის სკოლის დირექტორი ც. ბენაშვილი, კარტოგრაფი ც. ბექურაიძე, ასისტ. პროფ. რ. მაისურაძე (პასუხისმგებელი მდივანი), თსუ-ის მაგისტრანტი ი. ჩუთლაშვილი, სტუდენტები: პ. დვალაძე თ. ბირბიჩაძე.